ხელშეკრულება №268
(SMP190003961)

ქ. ამბროლაური 16 ოქტომბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის ზვიადი მხეიძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ. „თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორ-განმკარგულებელის გიორგი თევზაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N4121 (15.10.2019 წ.) განკარგულების საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2019 წლის 19 ოქტომბერს სსიპ. „შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი"-ს მიერ წარმოდგენის გამართვის მომსახურების შესყიდვა - CPV92312200, კერძოდ: რეჟისორ ვალერიან გორგოშიძის საავტორო სპექტაკლი „სტუმარი“.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 მომსახურების სავარაუდო ჯამური ღირებულება განისაზღვრება 3000,00(სამი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარით, მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2019 წლის 19 ოქტომბერს, შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ლოკაციაზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველის და მიმწოდებელის საამისოდ უფლებამოსილი პირები.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები

5.1 მომსახურების ღირებულების ანაზრაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების ხარისხის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
6.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან ხარვეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების წუნდების მიზეზის მითითებით.
6.3 გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობთ დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესწორებების გარდა.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიქმნა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის ზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

9.1 მხარეთა შეთანხმება.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

9.3 ხელშეკრულების ვადის გასვლა.

9.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს მაჟორი)

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების გზით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ქ.ამბროლაური. ბრატისლავა რაჭის ქ.11
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ს/კ №222938490

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი:

ზვიადი მხეიძე

მიმწოდებელი

სსიპ. „თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული ხელმწიფო დრამატული თეატრი“ ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N17
ს/კ 203840530
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22
სახაზინო კოდი - 708167170
ტელ. 599 11 15 47

გიორგი თევზაძე